# კროს ფანტაზია

№ 16(24)

16 ნოემბერი, 1996 წ  ი/ს „ფანტაზიის“ შემეცნებით-გასართობი გაზეთი. *  ფასი 40 თეთრი


## ურთულესი საკროსვორდო პილოტაჟი



... დიახ, ბატონებო, გნებავთ, თავის ქებაში ჩამოგვართვით და, თქვენს თვალთა არეში მოქცეული კროსვორდი უმაღლეს შეფასებას იმსახურებს თავისი ტექნიკური მხარით, ანუ: „აქ თავმოყრილი 56 რვაასოიანი სიტყვა ურთულეს საკროსვორდო კომბინაციებს ქმნის!

ჩვენ ამ კომბინაციების შექმნამ დიდი დრო და ენერგია წაგვართვა, სამაგიეროდ უზარმაზარი კმაყოფილების გრძნობა დაგვეუფლა, როცა მხოლოდ რვაასოიანი სიტყვებით ოთხმხრივ აბსოლუტურად სიმეტრიული კროსვორდის (ჯვარედის) აგება შევძელით.

... და თუ ვინმე ისევ გვიჩივის ზედმეტ „ამპარტავნობას“, მას ვთხოვთ ამ ჩარჩოს მხოლოდ ერთი კუთხე შეადგინოს ოთხი ჰორიზონტალური რვაასოიანი სიტყვის ოთხი ვერტიკალური რვაასონიანი სიტყვის გადაკვეთით.... „პილოტაჟია“ საჭირო , აპა!

**თარაზულად:** 4. არგენტინელი ფეხბურთელი; 11. მუსიკოსთა ჯგუფი; 12. მთიელის სატრფო; 13. საქართველოს ერთ-ერთი რაიცენტრი; 14. ლეიტენანტი, კაპრალი, მაიორი... ერთად. 15. მამაკაცის ფეხსაცმლის სახეობა; 16. იგივეა, რაც არაკაცი, არამზადა; 17. ბულალტრის „ჰობი“; 18. ქალაქი ესპანეთის სამხრეთ ნაწილში; 19. მართლმადიდებლურ ეკლესიაში „მამათა“ ცხოვრების აღმწერი კრებული; 20. მეცნიერი — ბუნებისმეტყველი; 24. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 29. იშვიათი, უნიკალური ნივთი; 30. მე-20 ს. უდიდესი ამერიკელი განგსტერი; 31. სამხედრო ალჭურვილობა; 32. კრილოვის მიერ აღწერილი „უილბლო“ ანსამბლი; 33. მიბაძვის სახეობა; 40. ახლო წარსულის ლენინგრადელი ფეხბურთელი (და მწვრთნელი); 44. გრაფიკის სახესხვაობა; 45. ქალბატონი ... უკაცრავად... პლანეტა ვენერა — ძველებურად; 46. ოქროს თევზის დამჭერი; 47. გეომეტრიული და საცირკო ფიგურა; 48. შუა საუკუნეების რელიგიური „შოუ“; 49. ცის მუდმივი ეპითეტი; 50. კაცი, რომელმაც კაპიტანი ესპინდოლა მოკლა (დაგავიწყდათ „ხუანიადა“?!); 51. ზამთრის 1968 წლის ოლიმპიადის დედაქალაქი; 52. ჩხირისებრი ბაქტერია; 53. ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი.

**შვეულად:** 1. ხანმოკლე პრეს-კონფერენცია; 2. გაზაფხულის მახარობელი; 3. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 4. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 5. ვერდის ოპერა; 6. წინასწარშემზადებული ქმედება; 7. უცნაური მოვლენა; 8. დიდი გველი; 9. ევროპული სახლის ზედა სართული; 10. სპარსული ენისა და ლიტერატურის, ასევე ისტორიის სპეციალისტი ზოგადად; 20. სასაპალნე ცხოველთა ერთობლივი „ალლუმი“, 21. ის, რაც ზნეობრივია, ანუ... 22. „ეკას“ სახესხვაობა; 23. იგივეა, რაც თანამგზავრი; 25. ძველი, სამუზეუმო ნივთი; 26. იგივეა, რაც „ჩალიჩი“ (ქართულად); 27. „პილიგრიმის (არამოხეტიალე) ქართული სინონიმი; 28. უვერცხლისწყლო ბარომეტრი; 34. შეუცნობელი, მაგიური, ანუ... 35. იზოლდას მიჯნური; 36. ადამიანის არსებობის სახესხვაობა; 37. მასებზე ზემოქმედების საშუალება; 38. ცნობილი ქუთაისური ტოპონიმი (უბანი); 39. ცრემლის სახეობა; 40. ადგილი, სადაც დამალვა შეიძლება; 41. ზმნა, რომელიც უმოძრაობით გრძნობადაკარგული კიდურის ყოფას გამოხატავს. 42. ატომური გამოსხივება; 43. ფრიდონის ერთ-ერთი სახელი.





შეიძინეთ (ჩვენი) „კროს-ფანტაზიის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოცემული სუპერკროსვორდები (1-ლი გამოშვება), სადაც 7 გიგანტურ ჩარჩოში 1000-მდე ამოსაცნობი ერთეულია ჩაშიფრული.

შეიძინეთ (იაფად, შეღავათიან ფასებში)!


## სარედაქციო განცხადება

გასული ნომრის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, რაც უპირველესად ფერთან და ე. წ. კროუფ(ვ)ორდთან იყო დაკავშირებული, ჩვენ ისევ ძველ დიზაინს დავუბრუნდით, თუმცა „ფანტაზიორის“ გონებრივი დაუღრომლობის ამბავი თქვენც კარგად მოგეხსენებათ და ამიტომაც ახალი ინტრიგა შევთხზით:

## „ფანტაზიიდან ფანტაზიამდე!“

ანუ: ვიცით რა, რომ გაზეთი უპირველესად საინფორმაციო დანიშნულების სუბიექტი გახლავთ, ჩვენ შევეცდებით აღვწეროთ ის უჩვეულო მოვლენები, რასაც ჩვენს ქალაქში წავაწყდებით. გთავაზობთ პირველ ასეთ ფაქტს:

(თბილისი, 1996 წ. 10 ნოემბერი)

ის-ის იყო მეტროპოლიტენის სადგურის კიბეები ამოვათავე, რომ მომესმა:

– მოდიხართ სუპერიგრაზე?! აი, თქვენ ყოფილხართ ვაჟკაცი, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი! მაშ, ასე: თქვენ თუ გაიმარჯვებთ სუპერიგრაში, მიიღებთ იაპონურ ტელევიზორს, და თუ ვერ გაიმარჯვეთ, დაკარგავთ ამ პრიზსაც... ვნახოთ... ვნახოთ.. არა! თქვენ, სამწუხაროდ, დამარცხდით, ამხანაგო, სუპერიგრაში, მაგრამ იტალიური ფირმა (რაღაც „ტრა-ლა-ლა“ თქვა – რედ.) გაჯილდოებთ საუკეთესო ლებოლორანტით! დიდი მადლობა თამაშისათვის და ... გეიწი იქით, ბიძია, დამატრიალებინე ბარაბანი... და ვიწყებთ ახალ თამაშს!“

... როგორც იქნა გავარღვიე „იაკუბოვიჩის“ გარშემო შეკრებული ბრბო და „პოლე ვარკეთილის“ წინა პლანზე აღმოვჩნდი.

მე აღარ აღვწერ იმას, რაც იქ ვნახე, ვიტყვი მხოლოდ, რომ 1996 წლის გვიან შემოდგომაზე ქალაქი თბილისი ტელე-რადიო-პრეს-ქუჩურმა ლატარიებმა წალეკეს...(კიდევ ერთხელ!)... წა-ლე-კეს!!!

**„პოსტ პროფილაქტიკუმ“.**

*მიმბაძველობას არავისთვის და არასდროს მოუტანია სიკეთე, ამხანაგებო!*

---

**დღევანდელი ნომრის სტუმარია ბატონი არკადი ქურჩიშვილი, რომლის ნააზრევს (კროსვორდები, თავსატეხები, იუმორი) ეთმობა მთელი მე-3 გვერდი.**

**გთხოვთ, გაეცნოთ!**

---

1. პირობითი ნიშნების სისტემა; 2. ზღვის (ძუძუმწოვარა) ცხოველი; 3. ხვიარა მცენარე; 4. ბერძნული ანბანის ასო; 5. ალბანეთის დედაქალაქი; 6. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი-მატერიალისტი; 7. მოწყალე, კეთილი, ანუ...; 8. ლექსის სტრიქონში ბოლო ბგერათა გამეორება.

(შეადგინა არკადი ქურჩიშვილმა)

## მინიკროსვორდები



**თარაზულად:** 3. გოგრის სინონიმი დასავლეთქართულ კილოკავზე. 6. მაიმუნების სახეობა. 8. საფრანგეთის ქალაქი. 9. რა აქვთ საერთო ტრავერსს და ანდერსონს? 11. ყველაზე დიდი სისტემის „მმართველი“. 12. მუსიკალური ქმნილების „ღერძი“. 13. გოსპაჟა ლარისა, რუსული ესტრადის მომღერალი. 14. (სუდარნია) ციგანოვა, (ასევე) რუსული ესტრადის მომღერალი... რა ჰქვია? 16. გაიხსენეთ გუნდი, რომელთანაც ყველაზე „საინტერესო“ მატჩები ჰქონდა თბილისის „დინამოს“ (ფეხბურთში)? 18. ღვინის უძველესი „ჭურჭელი“. 19. ზმნის კატეგორია (სრული და უსრული).

**შვეულად:** 1. დღე-ღამის [illegible] დადგომა ზამთრობით არცთუ გვიხარია. 2. იცნობთ ერთ რუსულენოვან მწერალს, სახელად ისაკს? 3. საყოფაცხოვრებო ნივთი. 4. იგივეა, რაც სურნელი. 5. ჩეჩნეთის მოდერნიზებული სახელი. 7. დროებითი ან იძულებითი დასახელება. 10. მრავალი ერის ფოლკლორული ცნობილი „ცრუპენტელა“. 13. სცენიური ხელოვნების ჟანრი. 14. სინიორა მონიკა, იტალიური კინოს ვარსკვლავი. 15. რა არ მოიტანს ყოველთვის წყალს? 17. ფაუნის შთამომავალთა მთავარი საკვები.



### რუსული რემინისცენციები

**თარაზულად:** 1. კომუნისტური რუსეთის უკანასკნელი „მეფე“. 6. რუსეთის ქალაქი, „არწივების საბუდარი“. 8. რუსი მწერალი „თეთრი ბაირაღებიდან“. 10. მე-20 საუკუნის რუსეთის ესტრადის დედოფალი. 12. თარაზული № 6-ის მეუღლე (ძალად დედოფალი) — შინაურ-კნინობითი სახელით. 14. იგივეა, რაც ხრიკი, თუნდაც ოინი. 16. ასი, თქვენს ხელთ არსებული კროსვორდის „ენაზე“. 17. დაავადება, რომელიც სჭირდა გრიშკა რასპუტინს. 18. ქართული „სასაკლაოს“ რუსული სინონიმი, რომელიც თბილისურ ტოპონიმად იქცა. 19. რუსული დაბოლოება, რომელიც არაიშვიათად იხმარება ქართველი მამების მოხსენიებისას. 20. უმაღლესი ხარისხის (უშავესი) ნახშირი — რუსეთშიც მოიპოვება.

**შვეულად:** 1. კოცნის საქორწილო ვარიანტი. 2. რომელი ქართული სიტყვა იდევნება რუსული „ციგანით“. 3. მე-19 საუკუნის უდიდესი რუსი მოჭადრაკე. 4. მე-20 ს. 80-იანი წლების უთამამესი სატელევიზიო გადაცემა „ოსტანკინოზე“. 5. თბილისელი კაცი, რომელიც დღეს რუსეთის საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობს. 7. რუსი პოეტი, რომელსაც მშენებლობაში „გამოიყენებენ“. 9. რჩეული საზოგადოება (თუნდაც რუსული) — ზოგადად. 11. ევროპის ჩემპიონთა ტურნირის (ფეხბურთში) ავტორი, პროფესიით ჟურნალისტი. 13. იგივეა, რაც ჯაშუში, მცირე ხნის წინ ხშირად იხმარებოდა სიტყვა "კრემლთან" ერთ კონტექსტში. 15. რუსული „გონკის“ ქართული სინონიმი. 16. „კროს-ფანტაზიის“ გამომცემლის სახელი რუსულ ვარიანტში.

# პერიფრაზირებული ანეკდოტები

*(შემოთავაზებული ნიმუშები რუსული წარმოშობისაა; ჩვენ ისინი მოვიძიეთ, შევარჩიეთ, გადმოვთარგმნეთ, გავაქართულეთ, მცირეოდენი ჩვენი ფანტაზიაც დავუმატეთ და... სხვა რა ვქნათ — თქვენს მაგივრადაც ჩვენ წავიკითხოთ?!)*

## „თბილისური ამბები“

ერთი თბილისელი კაცი დროზე ადრე დაბრუნდა მივლინებიდან; სახლის კარი დაკეტილი დახვდა და დიდხანს მოუწია ლოდინი, სანამ ცოლი ურდულს გახსნიდა (მას კი, ცოლს, ამასობაში მოესწრო თავისი საყვარლის „ტუმბოჩკაზე“ დასმა და ზედ ზეწრის გადაფარება).

სახლში შესულმა ქმარმა უმალ ის იკითხა — „ეს, თეთრზეწრიანი, რა დევსო „ტუმბოჩკაზე“?

„ — პამეტნიკი ვიყიდეო, გოგიაჯან — უპასუხა ცოლმა — აი, ზემოთა მეზობელს აქვს, გვერდითას აქვს, ჩვენ რიღათი ვართო იმაზე ნაკლები?!

დაწვნენ დასაძინებლად. შუაღამისას ქმარი ადგა, სამზარეულოში შევიდა, გამოიტანა ყველი და პური და „პამეტნიკს“ მუჯლუგუნი წაჰკრა:

„—აჰა, ოხერო, ჭამე! მე განა ზემოთა მეზობელსა ვგავარ, რომ სამი დღე აქ მეჯდე და ლუკმა არ გაჭამო?!“

☺

ინტელიგენტი ქმარი ავად შეიქმნა და ცოლს უთხრა:

„—ნუ მიწყენ, გეთაყვა, მაგრამ სიკვდილის წინ მაინც მსურს ვიცოდე, თუ რამდენჯერ მიღალატეხომ არ მიწყენ ასეთ კითხვას?!

სიჩუმე, გადის ნახევარი საათი.

„— გეწყინა ხომ, ძვირფასო?!“

სიჩუმე, გადის კიდევ ნახევარი საათი.

„— არა, შენ ნამდვილად, გეწყინა გეთაყვა! მითხარი...

„— დამაცადე, ვთვლი...“ — სიტყვა გააწყვეტინა ცოლმა.

☺

ერთ თბილისელ ქალბატონს, ე. წ. „სვეტს“, მეუღლე დაეღუპა, მაგრამ რაკილა მის საზოგადოებაში მოთქმა და ვაი-ვიში მიღებული არ იყო, ის ქალბატონი ასე დასტიროდა ქმარს:

„— მიდიხარ არა?! მტოვებ არა?! ხარაშო-ო-ო!“

☺

„— ქალბატონო, კი მიუღებელია, რომ ქალს ასაკი ჰკითხო, მაგრამ მაინც... რამდენი წლის ბრძანდებით?!

„— ოცდაათს ვუახლოვდები!“

„— რომელი მხრიდან?“

☺

თბილისელი ებრაელის სახლს ღამით ყაჩაღები დაესხნენ. ოჯახს უფროსმა გააღო კარი და იკითხა:

„— რა გნებავთ, დაგენაცვლეთ?!“

„— 100 კილო ოქრო მოგვეციო!“ — უთხრეს ყაჩაღებმა.

„— 105 რომ იყოს, უარს ხომ არ იტყვით?!“

„— არაო“ — უთხრეს ყაჩაღებმა.

„— სარა, ჩაიცვი, შენს წასაყვანად მოვიდნენო“ — გასძახა ოჯახის უფროსმა ცოლს.

☺

ლონდონელი, პარიზელი და თბილისელი სამ უკაცრიელ კუნძულზე გადასვეს ცალ-ცალკე. ერთი წლის შემდეგ შეიარეს და ნახეს, რომ ლონდონელს სამი ქოხი ჰქონდა აშენებული.

„— რად გინდოდა სამი ქოხი?“ — ჰკითხეს.

„— ერთი ჩემი სახლია, მეორე-ჩემი კლუბი, მესამე კი-კლუბი, რომელსაც მე უარვყოფ“ — უპასუხა ლონდონელმა.

პარიზელსაც სამი ქოხი აეშენებინა...

„— ერთი ჩემი სახლიაო — განმარტა მან — მეორე ჩემი საყვარლის სახლიო, მესამე კი — სახლი, სადაც ცოლი მღალატობსო.

თბილისელსაც სამი ქოხი წამოეჭიმა, შემდეგი დანიშნულებით:

„ერთი ჩემი სახლიაო, მეორე — რესტორანი, მესამე კიდევ — მეზობლის სახლი, რომელსაც სიმთვრალეში ვაგინებო...“

☺

„— დილაობით, წვერს რომ გავიპარსავ, ჩემი თავი ოცი წლის ბიჭი მგონია“ — გაუზიარა თავისი აზრი ქმარმა ცოლს.

„— მერე ძილის წინ რომ გაიპარსო, ღმერთი გაგიწყრება?!“ — „წაეიაზვა ცოლი“.

☺

„კაცო, გაგიგია ესეთი რამე?! — მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს ვერ ვუგებთ...“ — შესჩივის მეზობელი მეზობელს.

„რათა, ჯიგარო?!“

„რათა და... ის მე ვერ მიტანს, როცა მთვრალი ვარ, მე კიდე იმას, როცა ფხიზელი ვარ...“

☺

ცოლი: „მე დღეს მეტროში სამმა მამაკაცმა დამითმო ადგილი!“

ქმარი: „მერე? — დაეტიე?“

☺

ცოლი ესაუბრება ქმარს:

„— შენ რა, ახალი მდივანი აიყვანე?

„— ჰო!“

„— რამდენი წლისაა?“

„— ოცის!“

„— კარგად მუშაობს?“

„— მე კმაყოფილი ვარ!“

„— ლამაზია?“

„— სიმპატიურიც კი!“

„— როგორ იცვამს?“

„— ძალიან ჩქარა!“

☺

ერთი თბილისელი მოსკოვში მივიდა საყვარელთან და, როგორც ეს ხდება ხოლმე, შუა „საქმეში“ ქმარი დაბრუნდა სახლში. ქალმა თბილისელი, როგორც წესია, კარადაში დამალა და კარიც ჩაუკეტა.

იმ საღამოს, ესე იყო თუ ისე, იმ ბინაში ხანძარი გაჩნდა.

ცოლ-ქმარმა თავის ძვირფასეულობას დასტაცა ხელი, მაგრამ შემოესმათ:

„— მებელი გაიტანეთ, მებელი!“

„— ეს ვიღაა?!“ — კითხულობს ქმარი.

„— მე ვარ, შენი კოსტუმი, ვანიაჯან, გადამარჩინე!“ — იხვეწება კარადიდან თბილისელი.

„— თუ ჩემი კოსტუმი ხარ, აქცენტით რატომ ლაპარაკობ?!“

„— იმპორტნი ვარ, იმპორტნი!“ — არც აქ დაიბნა თბილისელი.

☺

ერთი პატარა თბილისელი ქვაფენილზე იჯდა მოწყენილი, ჩაიარა უცნობმა და მოეფერა:

„— რა გქვია, შვილო?“

„— არ ვიცი“

„— რამდენი წლისა ხარ?“

„— არ ვიცი“.

„— ბიჭი ხარ თუ გოგო?“

„— არ ვიცი“.

„— მაშ, არ იცი, ვინ ხარ?!“ — შეშფოთდა უცნობი.

„— აბა, მე რა ვიცი: დედაჩემი მამაჩემს ეძახის — ვირი ხარო, მამაჩემი დედაჩემს — ბატი ხარო! — მე ვინ გამოვდივარ, ჰა?!

*(ვაგრძელებთ შ. პ. ს. „ჭიჭიკია — სექსოპათოლოგის“ კლინიკაში ჩატარებული ბრიფინგის მოკლე ჩანაწერების გამოქვეყნებას).*

ჟურნალისტი — რა არის ქორწინება?

ჭიჭიკია — ეს გახლავთ ხელშეკრულება ორი ნერვული სისტემის მშვიდობიანი თანაცხოვრების შესახებ! ... აბა, რავა გეგონათ თქვენ?! (იღიმება).

ჟურნალისტი — როდის არის ქალი კმაყოფილი?

ჭიჭიკია — დააკონკრეტეთ სიტუაცია!

ჟურნალისტი — ანუ როდის ასრულებს ქალი კაცის ყოველ სურვილს?

ჭიჭიკია — უჰ, მე ვიფიქრე, რომ ...(იღიმება). ქალი მაშინ ასრულებს კაცის ყოველ მოთხოვნას... აბა, დაუკვირდით... (დამარცვლით) როცა კაცი ქალისაგან ითხოვს იმას, რაც ქალს უნდა! რავა, ვერ გაიგეთ?!

ჟურნალისტი — რა შეგიძლიათ ურჩიოთ ქმრებს?

ჭიჭიკია — ქმრებო! გიყვარდეთ ცოლები, რადგან ეს გარემოს დაცვის საუკეთესო საშუალებაა!

ჟურნალისტი — ცოლებს რაღას ურჩევდით?

ჭიჭიკია — რას გეტყვით, იცით, ქალებო?! — თქვენ ყველანი ერთნაირები (კარგები) ხართ. (იღიმება)... უბრალოდ თქვენი ქმრები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ჟურნალისტი — რომელი ანეკდოტი გაგახსენდებათ უცებ?

ჭიჭიკია — 16 წლამდე ბავშვებს ვთხოვ დატოვონ დარბაზი! (იოცებს) უიმე... რამდენი ყოფილან?! ახლა, ქე, მოგიყვებით: „მივიდა ერთი ინტელიგენტი სექსოპათოლოგთან და დაიჩივლა:

— ექიმო, მე მგონი, მამათმავალი ვარო?

— რატომ, ძამა?! — გეიოცა ექიმმა.

— ყველგან ის მელანდება, რომ ორი მამაკაცი ერთმანეთს ესიყვარულება.

— ახლავე შევამოწმებო — უთხრა სექსოპათოლოგმა.

გადმეიღო „ვეფხისტყაოსანი“ და აჩვენა ერთი ილუსტრაცია — რა არის ეს? — ჰკითხა პაციენტს.

— აგი, ტარიელია, ვეფხვებს რომ ხოცავს, აგერ იქით მკვდარი ლომი აგდია, ბუჩქის უკან კი ორი მამაკაცი ერთმანეთს ესიყვარულება...

— აგი რაღაოო — ჰკითხა ექიმმა და ფიროსმანის ნახატი დაანახა ინტელიგენტს.

— ეს თბილისელი მოქეიფეები არიან... აგერ მეტეხი, ზემოთ ნარიყალა, ქვემოთ მტკვარი... აი, იქ კი, ბუჩქებში, ორი მამაკაცი ერთმანეთს...

— ჰოო... — ჩაფიქრდა ექიმი — თქვენ მართლაც მამათმავალი ყოფილხართ!

— ექიმო — ისევ იკითხა ინტელიგენტმა — თქვენც მამათმავალი ხართ?

— რატომ, ძამა?!

— აბა, რეიზა აგროვებთ ასეთ სურათებს?!

## აჯაფსანდალი – 96

**თარაზულად:** 10. ტოპპრასი; 11. სევლანია; 12. მიკნა; 13. ტასპირნი; 14. ტაკორირი; 15. ციფრი; 16. ზოოკრია; 17. რაისი; 20. დამხურა; 22. ატიქსი; 24. ანმანა; 25. რატუნი; 26. მტორში; 29. ანგუმი; 32. მიშხა; 33. ჰევონია; 37. კარფი; 40. დასტენლი; 41. ნამინილი; 42. ნაზლი; 43. სიპვორნა; 44. ვოსარაკუ.

**შვეულად:** 1. სპარტუპა; 2. ცარეპოია; 3. ნაური; 4. მონიმი; 5. მინადო; 6. თირტვი; 7. ტილფო; 8. დოირენია; 9. ტივბისკი; 18. გიანაგა; 19. სამგუნი; 21. გონდი; 23. ვარქა; 27. ქატროტრი; 28. ამორვინო; 30. სენირომი; 31. ვონოკინი; 34. აიდილი; 35. ნათელე; 36. კაჰამი; 38. ანუფა; 39. როლფა;

(...სხვათა შორის ასოთა ამგვარ გადანაცვლებას სხვაგვარად „ანაგრამა“ ჰქვია).




# ჰინდი ენა

### (1-ლი გაკვეთილი)

ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, რომ სულ ახლახანს სპარსული ენის ანბანის (დამწერლობის) შესწავლა დავასრულეთ. ახლა გვსურს ჩვენი მორიგი „ახირება“ წამოვიწყოთ, მორიგი „ეგზოტიკური“ ანბანის სწავლებას შევუდგეთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი აუდიტორია საკმაოდ ფართო იქნება...

თითქმის ყოველ აღმოსავლურ ენას ერთი რამ ახასიათებს: მათ გრძელი და მოკლე ხმოვნები გააჩნიათ და ეს „სიგრძე-სიმოკლე“ სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის.

ჰინდი ენაშიც გვაქვს მოკლე და გრძელი „ა“, ასეთივე „ი“ და „უ“. დღეს ამ ექვსი ბგერის გრაფიკულ გამოხატულებას შევისწავლით.

1) მოკლე ა

ეს ხმოვანი მახვილის ქვეშ ძალზე სწრაფად წარმოითქმის, უმახვილოდ კი უფრო გამოიკვეთება მისი ჟღერა, თუმცა ზოგ შემთხვევაში საერთოდ იკუმშება და სიტყვის წარმოთქმისას მისი კვალიც კი ქრება. ეს ისე ზოგადად... ჩვენ ხომ მხოლოდ დამწერლობა გვაინტერესებს, აი, ისიც, მოკლე „ა“.

(ისრებით მითითებულია ასოს მოხაზვის თანამიმდევრობა).

გთავაზობთ „ა“-ს მეორე, ბეჭდურ ვარიანტს: अ

ეს კი ხელნაწერია




2) გრძელი „ა“

ეს ხმოვანი გარკვევით, ხანგრძლივი ინტონაციით უნდა გამოითქვას, წერისას კი ერთი „ჯოხი“ ემატება უკვე შესწავლილ მოკლე „ა“-ს და ხმოვანიც დაგრძელდება:




3) მოლკე „ი“

ეს ხმოვანი ანკესზე ჩამოკონწიალებულ ჭიას ჰგავს, ჯერ ჰორიზონტალური ხაზი გააყოლეთ, მერე ზედ „ჭიაც“ ჩამოჰკიდეთ:




4) გრძელი „ი“

წარმოთქმისას ინტონაცია იწელება (შეადარეთ: მიწვევს — მიიწევს; ჩვენ, ქართველებს, ამ გრძელი ხმოვნების არქონის გამო, გვეპატიება უცხო ენების შესწავლისას ორმაგი ხმოვნების წარმოთქმა). დაწერისას კი „ჭიას“ თავზე კაუჭი სჭირდება.




5) მოკლე „უ“

ეს ასო ჩვენს „კ“ წააგავს, ოღონდ თავი უნდა წავაკვეთოთ ჰორიზონტალური „ჯოხით“.




6) გრძელი „უ“

(გურულებმა იციან ხოლმე თქმა: გუუშვი, გუუფუჭდა და ა. შ.) თავისი მოკლე „ძმისაგან“ განსხვავებით გრძელ „უ“-ს მარჯვნივ დოინჯით შემოდებული კაუჭი სჭირდება.




დღეს შემოთავაზებული ასოების ასეთი მოხაზულობა იხმარება მხოლოდ სიტყვის დასაწყისში ან ხმოვნების შემდეგ, ანუ მარცვლის დაწყებისას.

### (მე-2 გაკვეთილი)

1) ახლა შევისწავლოთ, თუ როგორ იწერება ასო „კა“, რომელიც ჩვენი კ-ს მსგავსად წარმოითქმის და არაა საჭირო მისი „დაყრუება“, როგორც ქლინთონის შემთხვევაში (ისრებით ნაჩვენებია ასოთა მოხაზვის თანამიმდევრობა)

2) ეს კი ასო „ლა“ გახლავთ და „მავანთ“ ვთხოვთ „მიახკი ზნაკს“ ნუ დაუსვამენ მას (წარმოთქმისას) — უბრალოდ წარმოთქვით ქართული „ლ“.

3) და კიდევ ერთი თანხმოვანი — „მა“ (უდრის ჩვენს „მ“-ს)

...ახლა გავეცნოთ იმას, თუ როგორ აისახება წერისას მოკლე და გრძელი „ა“

4) მოკლე „ა“ არ იწერება და ყოველ თანხმოვანში, ერთგვარად, ჩაპროგრამებულია, ანუ თუ თანხმოვანს არანაირი ნიშანი — სიმბოლო არ ახლავს, ჩათვალეთ, რომ აქ უნდა წაიკითხოთ ეს თანხმოვანი და მოკლე „ა“ ერთად. (არის შემთხვევა, როცა თანხმოვანს არანაირი ხმოვანი არ მოსდევს, ანუ თახმოვანთა კომბინაცია ერთად უნდა წარმოითქვას, ამ დროს იწერება სპეციალური ნიშანი „ხალანტი“ — პატარა დამრეცი ხაზი ქვემოთ.)

5) გრძელი „ა:“-ს აღსანიშნად თანხმოვნის შემდეგ იწერება მხოლოდ „ჯოხი“ და ასე წარმოიქმნება გრძელი „ა:“ (ქართულ ხმოვანთან დასმული ორი წერტილი ტრანსკრიფციაში მის გაგრძელებაზე მიგვითითებს).




სავარჯიშო:

1) დაწერეთ ჰინდი ენაზე:

კა-კა:, ლა-ლა:, მა-მა;

კალ-კა: ლ, კამ-კა:მ, ლალ-ლა:ლ

,კა:ლა:, ამ, ა,კა:ლ, ,კამა:ი:

# "მხიარულ ტალღაზე"



**ჰორიზონტალურად:** 1. სიჩქარეების გადამრთველი (ფაეტ.). 3. ცომური ზრდის სტიმულატორი. 7. ნალექების საწყობი. 10. როიალი ბეგარის გადახდის შემდეგ. 13. ჭირთან ერთად „იქა" (ზღაპ). 14. თამაში, რომელშიც კარგი ფიგურა ბევრს ნიშნავს. 15. „მორჩილი" რელიგია. 16. რა ჰყავდა „თეთრი" მაინ რიდს? 20. მეცნიერება, რომელიც ყოველდღიურად იზრდება. 21. მსახიობის სათამაშო. 22. პირი, რომელსაც სახესთან და საჭმელთან არაფერი ესაქმება. 25. კატების კონცერტის ინტელიგენტური სახელწოდება. 26. არჩევითი ავაზაკური თანამდებობა. 27. დაუზეთავი ურმის სიმღერა.

**ვერტიკალურად:** 1. ქალის გასანითლებელი საშუალება. 2. საზღვრისიქით დარტყმა. 4. კოლექტივი, რომელსაც პერიოდულად კრეჭენ. 5. რუსეთის გვაროსანთა რეკორდსმენი. 6. ყველაზე ძვირფასი ფიგურა ჭადრაკში. 8. ნაშიერი მეფურად. 9. ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენი ყურადღების მიქცევის მიზნით თავდაყირა დგას. 11. ქაღალდის ქამელეონი. 12. ის უპატრონო, რომელსაც ძაღლები დაეპატრონნენ. 17. მსოფლიო მასშტაბის განწმენდა. 18. ჭკუის ტარა. 19. თეატრი მეხანძრის შეხედულებით. 23. პირში გამოსავლები საშუალება. 24. მჭევრმეტყველი მაჩვენებელი.



**ჰორიზონტალურად:** 5. პროფესიონალი შინაბერა; 6. ქალაქი, რომელიც კარგად ჩანს ლუბიანკიდან; 8. ძირითადად ადამიანებშია, გვხვდება ცხოველებშიც; 11. დროსტარება, რომელმაც საზღვარი გადალახა; 14. ჩილელი ესკუდო, რომელმაც ირანული მოქალაქეობა მიიღო; 15. რასაც ვერ გაექცევი; 16. უკიდურესობამდე მიყვანილი პაიკი; 17. გემის სამზარეულო შებრუნებით; 20. არაუაზრო; 22. პოეტური შთაგონების მომგვრელი (მუს); 23. ქმრის ხელფასის რა ნაწილი მიაქვს ცოლს? 26. ადამიანი, რომელიც კროსვორდს საწერი პასტით ავსებს და არა ფანქრით; 27. სპილოს — ხორთუმი, ლორს — დინგი, გნოლს — ? 28. გეომეტრიული წარმოშობის თავსაბური.

**ვერტიკალურად:** 1. ელემენტარული მნათობი; 2. ხმამაღლა იტალიურად (მუს.); 3. თხასა და თოფს შორის (ზღაპ); 4. პირველი ადამიანი, რომელიც ამერიკის აღმოჩენისას დაინახა კოლუმბმა; 7. ფენიქსის სამშობიარო სახლი; 9. ის, ვინც დიდი კვალი დაამჩნია სათაფლიას მიდამოებს; 10. კოორდინატები ცხოვრების ლაბირინთში; 12. აღელვების ავადმყოფური შედეგი; 13. არქიმედეს ლაბორატორია; 18. რა ფასობს ყველაზე მეტად მუსიკოსის მეზობლებში? 19. სხეულის თვისება, რომელიც კანონით ინახება; 21. ტვისტი დიკენსისებურად; 24. რა გააკეთეს მოცარტმა და როსინიმ ბომარშესაგან? 25. შავი მახრჩობელა.

## ლოგიკური ამოცანები

ერთ ქალაქში მცხოვრები ხუთი ადამიანის სახელებია: ნინო, ლია, ქეთინო, ხათუნა და ლამარა; ხოლო გვარები — ჭელიძე, აფციაური, ბარათელი, ცერცვაძე, გულაშვილი. ცნობილია, რომ:

1) აფციაური არ იცნობს მხოლოდ ორ მათგანს;
2) ლამარა ყველას იცნობს, ერთის გარდა;
3) ხათუნა იცნობს მხოლოდ ერთს;
4) ჭელიძე და ლია ერთმანეთს არ იცნობენ.
5) ნინო და გელაშვილი ერთმანეთს იცნობენ;
6) ლია, ნინო და ქეთინო ერთმანეთს იცნობენ;
7) ცერცვაძე არ იცნობს მხოლოდ ერთს;
8) მხოლოდ ერთ იცნობს ბარათელი;

...დაადგინეთ თითოეულის გვარი.

???

აფციაური, ჭელიძე, ციხისთავი, ცერცვაძე — ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. ერთი მათგანი არქიტექტორია, მეორე — მსახიობი, მესამე — მხატვარი, მეოთხე — მათემატიკოსი.

ცნობილია, რომ:

1) აფციაური და ციხისთავი ესწრებოდნენ მათემატიკოსის დისერტაციის დაცვას.
2) ჭელიძე და მხატვარი ერთად იყვნენ სტუმრად მსახიობთან.
3) მხატვარმა დაამთავრა ცერცვაძის პორტრეტი და სთხოვს აფციაურის პორტრეტიც შექმნას.
4) აფციაურს არაფერი სმენია ციხისთავის შესახებ.

... დაადგინეთ თითოეული მათგანის პროფესია.

???

ამოხსენით შემდეგი მაგალითები.

ყოველ კონკრეტულ მაგალითში ერთ ასოს ერთი ციფრი შეესაბამება:

1) ONO X ONO = ᲛᲐᲬONO
2) ᲐᲚᲘ X ᲐᲚᲘ = ᲓᲔᲓᲐᲚᲘ
3) ᲙᲐᲡᲞᲘ X 4 = ᲘᲞᲮᲐᲙ
4) ᲚᲘᲙᲐ X 4 = ᲙᲐᲚᲔ

(გაფრთხილებთ: თუ პირველ მაგალითში ი, ვთქვათ, უდრის 7-ს, სხვა მაგალითებში ი-ს სხვა ციფრი უნდა შეესაბამებოდეს).

# არკადის ღიმილი

— გუშინ „ჩელუსკინელებზე" ბაზრიდან მომავალს ჩაგიქროლე! — უთხრა არკადიმ მეზობელს.

— მერე? რატომ არ წამომიყვანე? — წყენანარევი კილოთი ჰკითხა მეზობელმა.

— მე ტროლეიბუსით მოვდიოდი! — უპასუხა არკადიმ.

— ჩაიტარეთ მკურნალობის კურსი ნოოტროპილით და მეხსიერებას აღიდგენთ, უთხრეს არკადის.

— არ არის საჭირო, ჩემი იღბალი რომ ვიცი, მხოლოდ ჩემთვის არასასიამოვნო ფაქტები გამახსენდება!

— აქედან კუკიაზე მიდის რამე? — იკითხა ავატობუსის გაჩერებაზე მისულმა მოქალაქემ.

ტაქსი და კატაფალკა! — უპასუხა იქ მდგომმა არკადიმ.

პირველკურსელთა სიის ამოკითხვისას არკადის შეხვდა „მესხი სერმოლ" („სერპ ი მოლოტ" — გაიფიქრა მან). რამდენიმე წუთის შემდეგ იმ სტუდენტს „გადმოქართულებული სახელით მიმართა:

— ურნა („ურო და ნამგალი") დაფასთან!

რით ვერ დაშოშმინდა ეს ორი სხეული?! — წამოიძახა არკადიმ, როდესაც მისალები გამოცდის ბილეთში კიდევ ერთხელ წააწყდა ამოცანას დასაწყისით: „ორი სხეული უახლოვდება ერთმანეთს..."

„რვა მუშა კედლის ამოყვანას ორ საათში ამთავრებს. რა დროში დაამთავრებს ამ სამუშაოს 24 მუშა?" — ასეთი ამოცანა იყო საგამოცდო ბილეთში, პასუხია: 40 წუთი.

— თქვენი არ ვიცი, მე კი ასეთი ამოცანების და მათი ამონახსნის არ მჯერა! — უთხრა არკადიმ საგამოცდო კომისიის წევრებს. — ამ მეთოდით ამოხსნისას გამოდის, რომ 960 მუშა ხსენებულ კედელს ერთ წუთში ააშენებს! ვითომ?!

საგამოცდო კომისიის წევრს სურდა ერთ აბიტურიენტს დახმარებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა და არკადის შესჩევლა. არკადიმ ხმამაღლა, ისე, რომ აბიტურიენტს გაეგო, უთხრა:

— თუ სკოლადამთავრებული ვერ ხვდება, რომ ამ მაგალითში მეორე წევრი მარჯვენა მხარეში უნდა გადაიტანოს, მერე ორივე მხარე კვადრატში აიყვანოს და მიღებული განტოლება ამოხსნას რადიკალის მიმართ, იმას რა უნდა გამოცდაზე?!

ის მაგალითი აბიტურიენტმა მშვენივრად ამოხსნა.

ერთი აკადემიურად საკმარისად სუსტი სტუდენტი სხვა ჯგუფიდან არკადის ჯგუფში გადმოვიდა.

— შენ, რა, ჯგუფის გაძლიერების მიზნით გადმოგიყვანეს? — ჰკითხა არკადიმ ახალგადმოსულს და, როდესაც სახეზე წყენა შენიშნა, „დაამშვიდა":

— მე ის ჯგუფი მაქვს მხედველობაში, რომლიდანაც გადმოხვედი!

ერთ შეკრებაზე აბონ ცხციაშვილი და არკადი ერთმანეთის გვერდით ისხდნენ. აბონმა ჩათვლიმა. „ერთი წუთით აბონი მოახედე!" — სთხოვეს არკადის.

— როგორ შემიძლია კაცი გავაღვიძო ერთი წუთით?! — გაიკვირვა არკადიმ.

ყოფილ თანაკლასელთა შეხვედრისას პოლიკო ესებუამ თქვა: „ყველას სათვალე გჭირდებათ, მე კი არა!"

— რა იცი, იქნებ შენც გჭირდება, მაგრამ ვერ ხვდები, — უთხრა არკადიმ,-ამის გასაგებად ბოლო ათ წელიწადში რამე ხომ უნდა წაგეკითხა?!

თითქმის ყოველ სიტუაციაში არკადი შესაბამის ანეკდოტს ყვებოდა. მეგობრები ამას შეჩეულნი იყვნენ და სიამოვნებითაც უსმენდნენ. ერთხელ არკადიმ თქვა:

— ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ანეკდოტი.

— მოგვიყევი, სთხოვეს.

— ჯერ მახსენდება. როცა გავიხსენებ, მოგიყვებით! — უთხრა არკადიმ.

არკადიმ ფიზიკის ფაკულტეტის დეკანატში „ახალი ამბავი" მიიტანა:

— ჩინელებს გამოუცხადებიათ, თუ საბჭოთა კავშირთან ომი მოგვიწევს, ყველა ებრაელს და მასწავლებელს მოვსპობთო!

— მასწავლებლებს რატომო?! — იკითხეს დეკანის მოადგილემ და მდივანმა.

— აჰა! ებრაელებს რატომ, იცით, არა?! — იკითხა არკადიმ.

— ამიწონეთ ყველი, ოღონდ ხელზე რამე წამოიცვით! — მიმართა არკადის სიძეს ერთმა ქალბატონმა და დააყოლა:

— მომაწოდეთ პური, ოღონდ შიშველი ხელით!

— ქალბატონო, შვილები გყავთ? — მოულოდნელად ჰკითხა მას არკადიმ.

— არა! რაშია საქმე?!

— უბრალოდ, დამაინტერესა ყველა სიტუაციაში ასეთი „პრეტენზიული" ბრძნადებით?!

**აქ მოთავსებული მასალების ავტორია ბატონი არკადი ქურჩიშვილი**



**„განტოლება" (?!)**

მოცემული ორი სიტყვისაგან შეადგინეთ ერთი და მიღებული სიტყვა ჩაწერეთ მითითებულ ნომერზე.

(ნიმუში: ასტრა + ტანი ტარანტასი)

1. პენალტი + რაგუ
2. ლიმიტი + პორტო
3. ქანდარა + სელი
4. ნაკლი + ლარი
5. მანტო + ფასი
6. გნომი + ფორა
7. ლანცა + პატი

**გასული ნომრის პასუხები**

(1-ლი გვ.) ანბანთქება. სერია „ც": 1. ციტატა. 2. ცეკვა. 3. ცნობის. 4. ცოკოლი. 5. ციცია. 6. ცნობიერი. 7. ციცერონი. 8. ცოდვიანი. 9. ციცაბო. 10. ციყვი. 11. ციება. 12. ცირცელი. 13. ცრემლმა. 14. ცივცივი. 15. ცბიერი. 16. ციცარი. 17. ციმორი. 18. ცერცვი. 19. ცუნცულას. 20. ცხვირი. 21. ცარიზმმა. 22. ცუნამი. 23. ცვიკაუ. 24. ცეცხლი. 25. ციცხვი. 26. ცვეთა. 27. ცეცილია. 28. ცოტნე. 29. ცურვა. 30. ცოლზე. 31. ცალთვალა. 32. ცვარნამი.

სერია „ძ": 1. ძეხვეული. 2. ძიშრა. 3. ძლევაი. 4. ძაბული. 5. ძაბვა. 6. ძალაყინი. 7. ძეფირელი. 8. ძალდაძალ. 9. ძევერა. 10. ძვირი. 11. ძვრას. 12. ძახველი. 13. ძვილეთი. 14. ძალუმად. 15. ძლოკვი. 16. ძაბუნი.

სერია „წ": 17. წალამი. 18. წუწუნი. 19. წყურვილი. 20. წინ-წინ. 21. წეროვანი. 22. წყნეთი. 23. წარვედ. 24. წრუპვა. 255. წრიოკი. 26. წნისი. 27. წრეწირი. 28. წვერი. 29. წვენი. 30. წვივი. 31. წლისთავი. 32. წკმუტუნი.

სერია „ჭ": 1. ჭარებულა. 2. ჭაუხი. 3. ჭრინვა. 4. ჭიდილი. 5. ჭილვი. 6. ჭირვეული. 7. ჭაჭამური. 8. ჭიკჭიკით. 9. ჭერამი. 10. ჭერხო. 11. ჭვავი. 12. ჭვარტლი. 13. ჭვებარი. 14. ჭიჭიკია. 15. ჭლაკვი. 16. ჭირხლი.

სერია „ხ": 17. ხაბაზი. 18. ხრახნი. 19. ხანდახან. 20. ხორკლი. 21. ხრახნილი. 22. ნაშიერი. 24. ხიდური. 24. ხავილი. 25. ხვიჩია. 26. ხრამი. 27. ხარკოვი. 28. ხუთში. 29. ხათრი. 30. ხუანი. 31. ხანმოკლე. 32. ხიდაშელი.

სერია „ჯ": 1. ჯაგაჯუგი. 2. ჯანრი. 3. ჯვალოს. 4. ჯოყოლა. 5. ჯიქია. 6. ჯირკვალი. 7. ჯავადოვი. 8. ჯორჯია. 9. ჯოჯიკი. 10. ჯავრი; 11. ჯირკვი. 12. ჯონჯოლი. 13. ჯვარედი. 14. ჯემგულა. 15. ჯგიმვა. 16. ჯეჯილი. 17. ჯივრითი. 18. ჯუნგლი. 19. ჯგუბურია. 20. ჯოყოლა. 21. ჯვართი. 22. ჯგერდა. 23. ჯლაგვი. 24. ჯოვანი. 26. ჯდომით. 26. ჯებირი. 27. ჯოკონდა. 28. ჯაყვა. 29. ჯულია. 30. ჯართი. 31. ჯიგრიანი. 32. ჯინჭვისი.

(მე-3 გვ.)

(ამერიკული კროსვორდი) თარაზულად: კოლორადო, არმალანი, ფილადელფია, რივასი, ნატო, სეკა, როიალისტი, ერი, ლანა, რატომ, ანი, მო. დირიჟორი, სანიკიძე, კომი, მტკიცე, სიო, ენი, სამურაი, კოვზი, უნცია, კობრა, სტენლი, ობიანი, აბი, აფრასიაბი, რურუა, რალი, იავარდი, ტაპისი, ლაისტი, ტრაიბალიზმი, ელგრეკო, ინდიგო, ამინ, ტბა, არ, ელადა, ადლი, ნინუა, ია, ვიზა, ხაიკუ, კვირაია. (საგაზეთო ფართის ეკონომიის მიზნით „შვეულ" პასუხებს არ ვწერთ, რადგან „თარაზულის" ჩაწერით „ეკონომიაში" მოყოლილი პასუხები თავისით ჩაიწერება).

(ქართული კროსვორდი) 1. ირანი. 2. ამქარი. 3. საბერძნეთი. 4. რუსეთი. 5. ჩილე (აქ გაიპარა შეცდომა — სიტყვა „პრეზიდენტის" ზედმეტი იყო). 6. ჩეჩნეთი. 7. ჩეხეთი. 8. ჩინეთი. 9. ბულგარეთი. 10. სირია. 11. კოლუმბია. 12. აბისინია (ეთიოპიის მეორე სახელი). 13. სერბია. 14. მექსიკა. 15. ჯორჯია. 16. მილა. 17. მითი. 18. ედემი. 19. უთურქეთოდ. 20. ამერიკა. 21. ცხონება. 22. ასე.

(მინივორდები) ზემოთა, თარაზულად: 5. პარტიტურა. 6. არვე. 7. პაპი. 8. სკრა. 10. ტილო. 11. ალიგატორი. შვეულად: 1. მატრიკული. 2. მტლე. 3. სტოპ. 4. პროპელერი (აი სწორედ ეს კითხვა იყო ადგილნაცვალი). 9. აუგი. 10. ტიტა.

ქვემოთა, თარაზულად: 5 პირანდელო. 6. აკრი. 7. იონი. ოტია. 10. ფრაუ. 11. ურიადნიკი. შვეულად: 1. რისკატორი. 2. გაზი. 3. ოდრი. 4. კლონდაიკი. 9. ალაო. 10. ფენა.

(აჯაფსანდალი-7) თარაზულად: თბილისი, შტატივი, ინგლისი, პრანჭია, ნიქოზია, სარეწაო, პიპინია, პოლიცია, ნაკრები, ტოლსტოი, ცხონება, ლანსერე, ცმაცუნი, რეიგანი, ნავტიკი, ალადინი, ამერიკა, ტრილერი, დესპანი, სესილია, საშინაო, მილიცია, ტანკერი, ვაიმარი, პეტიცია. პოლტავა, ნატრული, ანილინი, ოკინავა, გეგელია, პიცერია, ლეონიძე, ცვედანი, არაბიკა, ლარსენი. დელფინი, ნარცისი, მხევალი, რეპლიკა, კანჯარი.

(საოჯახო „განტოლება")
ქმარი–ცოლი=ოჯახი
ეს იგივეა, რაც
84350–6970=91320



**შვეულად:** 1. ბუნების დაცვის მეცნიერება; 2. (ქალბატონი) თარხნიშვილი, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი; 3. სიშიშვლისა და სექსუალობის დემონსტრაცია; 4. სიტყვა „ჩოჩქოლის" სინონიმი; 5. უსიამო გრძნობის უკიდურესი გამოვლინება; 6. ერთი ან რამდენიმე ბგერის ერთად ჟღერა; 7. იგივეა, რაც წუხილი ან ვარამი; 8. რას სჩუქნიდნენ აღმოსავლელი მეფეები მოწყალება-პატივისცემის ნიშნად? (სახ. ბრ.); 9. რომის პაპების თავსაბურავი; 10. საჭადრაკო ფიგურა; 11. მეცნიერი, რომლის კანონი ვერ გამოიყენა ქვევრში მჯდომმა კაცმა; 12. 1817 წლამდე არსებული ინგლისური ოქროს მონეტა, უდრის 21 შილინგს; 14. ძველბერძნულ ქალაქებში თავშეყრის და ვაჭრობის მოედანი; 15. ბატონი გაბაშვილის სრული სახელი; 17. ჯოხი, რომელსაც ლობიო გარს ევლება; 18. სასწავლო პროცესის მონაკვეთი; 20. ძალიან ნაზი და სათუთი (თანაც ძვირფასი); 21. აზიის კუნძულოვანი სახელმწიფო; 24. კედლის სანათი; 26. ინდოეთის ეროვნული გმირი; 28. სისხლის მწოველი არსება; 29. რელიეფის ნაწილი; 30. დაწესებულების განყოფილება, რომელსაც საქმიანი ქაღალდების მოწესრიგება ევალება; 31. ამერიკელი მწყემსი; 33. დამოუკიდებელი აქტიური ქმედების უნარი; 34. სიტყვა აგრესიის ნაწილობრივი ქართული სახესხვაობა; 36. შამფურის „პროდუქტი"; 37. ეგვიპტის პრეზიდენტი ახლო წარსულში; 40. რუსეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი (საშოკოლადო) სპონსორი; 41. ცნობილი ქართველი დიდოსტატი ვაჟი; 42. რომაელთა ორსახოვანი ღმერთის 31 დღიანი შვილობილი; 44. არსანის (პორნო) სერიალის მთავარი პერსონაჟი; 45. საქართველოს ერთ-ერთი პრეზიდენტის აქტიური მხარდამჭერი; 49. გრამატიკული ტესტი: ავიღოთ სახელზმნა „მიკარება" და ჩავსვათ I სერიის II მწკრივში (III პირი); 50. ხუთი ერთეული ერთ თამაშში; 52. კაფე „შანტანის" მომღერალი ქალი; 56. ყოველი მაღაზიის აუცილებელი ატრიბუტი; 57. რბილი, სუსტი, უღონო და ა. შ. 58. 11-14 წლის მამრობითი სქესის პირი; 60. 8848 მეტრი; 61. სახოტბო ხასიათის ლექსი; 63. სიტყვა დედის დასავლურ-ქართული სინონიმი; 64. ფრანგი ეკონომისტი ჟან ბატისტი... (1767-1832), ნუ ნაღვლობთ, თავისით ჩაიწერება; 65. სიტყვა აზარტის ქართული სინონიმი; 68. ზეპირსიტყვიერების პოპულარული ჟანრი; 70. დანიელი ფიზიკოსი ნილს ჰენრიკ დავიდ ... (1885-1962); 71. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 72. ნეიტრალური ატომების ან მოლეკულების გარდაქმნა; 73. ჰიტლერის სამხედრო წოდება; 74. თმის საფარის მოცილება სამკურნალო მიზნით; 76. ჰამლეტის მშობლიური კოშკი; 77. თბილისის დინამოს კაპიტანი 1964 წელს; 78. გრამატიკული კავშირ; 83. ხუთი ერთეული ფულში (ძველად); 84. იგივეა, რაც უვიცი, უბირი; 86. გავლენიანი პირი ბიზნესის სამყაროში; 87. ქალაქი ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით; 88. ადამიანის შემსწავლელი ერთ-ერთი მეცნიერება; 90. ფრანგი ფერმწერი და მოქანდაკე XIX საუკუნეში; 91. იტალია-საფრანგეთ-ესპანეთის სანაპირო ზოლი ხმელთაშუა ზღვაზე; 93. შვეული №15-ის სატრფო; 94. ჩაიკოვსკის ოპერა; 95. მთვარის ზედაპირის უახლოესი წერტილი დედამიწიდან; 96. ერთგვარი ან სხვადასხვა სამხედრო ხომალდების დიდი შენაერთი; 98. ფულის გაშვება ბრუნვაში; 99. სულელის გურული ვარიანტი; 100. ქალაქი ორენბურგის ოლქში, მაცივრების წარმოების ცენტრი; 102. მზის სისტემის პლანეტა; 105. საწყალოსნო ტრანსპორტი; 106. აბსტრაქტულ მეცნიერებათა მაწარმოებელი ბოლოსართი.

**თარაზულად:** 13. ჟან-ლუი ტრენტინიანის პარტნიორი ფილმში „ქალი და მამაკაცი"; 16. ძვირფასი ქვა; 18. სავალი ნაწილი; 19. ძველებური სამკურნალო წიგნი; 20. შენობა, რაზედაც ქანთარიამ დროშა ააფრიალა; 22. მთათა წარმოქმნის პროცესი; 23. „დიდების" ფუნქციონალური ნაწილი; 24. მთა-თუშეთის ტოპონიმი; 25. ინდო-ჩინელთა ღვთაებრივი ყვავილი; 26. თბილისთან დაძმობილებული გერმანული ქალაქი; 27. ქალაქი კუნძულ კრეტაზე; 28. აღმოსავლური მუს. ინსტრუმენტი; 29. ლიბანელი არაბულენოვანი მწერალი; 30. იტალიური ესტრადის მომღერალი; 32. დედალი ღორი; 34. პურეულის ნამჯის ნალეწი; 35. „ირაკლის" კნინობითი ვარიანტი; 37. „ბახტრიონის" პერსონაჟი; 38. აღმოსავლელი სატანა; 39. „ერთი" — აკუსტიკის ენაზე; 40. მექსიკის ქალაქი; 43. თმის „კონფიგურაცია"; 44. მოკლე მანძილზე სირბილი; 45. თურქეთში მცხოვრები ქართველი; 46. გერმანიის საკურორტო ქალაქი; 47. „ახალი" — ბავშვის ენაზე; 48. ტურგენევის „გაზაფხულის წყლების" მთ. პერსონაჟი გოგონა; 50. პოლარული საკვლევი ცენტრი ანტარქტიდაში; 51. გრამატიკული ტესტი: მე-3 პირის (მხ. რ.) ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა; 52. იგივეა, რაც მეწინავე; 53. წყლის გამაცხელებელი დანადგარის შინაური სახელი; 54. ყავის სახეობა; 55. თავის ერთი მხარის დროგამოშვებითი ტკივილი; 56. (მუსიე) კლერი, ფრანგი კინორეჟისორი; 58. საქონლის რეალიზატორის ძველებურ-კრიმინალური სახელი; 59. ფართობის საზომი ერთეული; 62. დიდი ზომის ფრინველი; 66. ბრაზილიის ქალაქი რიო-დე-ჟანეიროს შტატში; 67. ჩვენი მაცხოვარი; 68. ლაიმა ვაიკულეს ცნობილი სიმღერა; 69. რა აკლია მიგელ-დე-სერვანტესს? 70. ოპტიკური მინა; 71. იგივეა, რაც ლობე; 73. სიტყვა „თანდათან"-ის სინონიმი (კროსვორდში დეფისს არ საჭიროებს); 74. სიტყვა „არშიიან"-ის რუსული სინონიმი; 75. ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული სიტყვების ბერძნული წინასართი; 77. საბერძნეთის ბერძნული სახელი; 79. (ბატონი) მღვიმელი; 80. (ბატონი) მაღალაშვილი, ცნობილი მსახიობი; 81. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 82. სიტყვა შარაგზის სინონიმი; 83. (უწმინდესი და უნეტარესი) შიოლაშვილი; 84. ბრმანაწლავის მეცნიერული სინონიმი; 85. სტუდენტური დღიური; 88. პოემა „გამზრდელის" პერსონაჟი; 89. სარეცხი საშუალება; 91. მოთხრობა „მუსუსის" (მ. ჯავახიშვილი) პერსონაჟი; 92. არსაკიძის ფხოვური სახელი; 97. (თუ ვინმეს გახსოვთ) ფილმ „ქვიშის კარიერის გენერლების" მთ. პეროსნაჟი გოგო; 98. აშშ-ს დიდი ტბების სისტემის ერთ-ერთი ტბა; 100. რუსული ფოლკლორის გმირი; 101. სიტყვა ეპოქის სინონიმი; 102. ცნობილი ქართველი გეოლოგი; 103. კმაყოფილების გრძნობა; 104. გივი ბერიკაშვილის პერსონაჟი ოტია იოსელიანის ცნობილ პიესაში; 105. ჯულიეტა მაზინას პერსონაჟი ფედერიკო ფელინის ცნობილ ფილმში; 107. წვერის სალებავი; 108. ფართობის საზომი ერთეული ძველად; 109. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 110. მერი პოპინსის პროფესია; 111. ავადმყოფობის უეცარი შეტევა; 112. გრამატიკული ტესტი: ჩასვით სახელზმნა „სიცილი" I სერიის I მწკრივში (II პირი); 113. რომელიმე ნერვის ან მისი განტოტების შეტევითი ტკივილი; 114. ქალის მოსახვევი ძველ თბილისში; 115. გაიხსენეთ მეფე, რომლის მსგავსად ატირდა გალაკტიონი ერთ ლექსში?


იყიდება ორსართულიანი საკუთარი სახლის მეორე სართული, დიდი ოთახებით, ყველანაირი სათავსოთი და სან. კვანძებით, დიდი ვერანდით. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 74-40-95.



მისამართი: სასტუმრო „მეტეხის" უკან, ნიორაძის ქუჩა.


**კროუფვორდის პასუხები**

თარაზულად: 6. ევანჯელისტა; 7. სენა; 8. არლეკინო; 11. დასენი; 12. ვიტორიო; 16. კიმ; 17. მისტიკა; 18. გაიანე; 19. მალვინა; 27. სარაჯიშვილი; 28. პალინდრომი; 30. ვარია; 32. როზა; 33. ჰიმალაი; 34. გოზინაყი; 35. ლინდა; 36. კორინთელი; 37. ნაომი; 40. შალვა; 42. რცხილა; 45. აქსინია; 46. ლია; 48. ორბაკაიტე; 49. ორაგველიძე; 50. ანდრომედა; 55. ანკა; 56. მარო; 57. ეროტიკა; 60. ონდატრა; 61. მარიამი; 62. კორონაცია; 67. ვალენტინა; 68. უდე; 69. ნიშა; 70. ტორინო; 71. ვრონსკი; 72. სოფი; 73. ასინეთა; 84. ირინე; 75. საბრინა.

შვეულად: 1. ევა; 2. ათლეტური; 3. ჯოკერი; 4. ლონდონი; 5. ტელეჩკინა; 9. იამაიკა; 10. ვანგა; 13. ასპიროზი; 14. ვამპირი; 15. მელოდრამა; 20. რომანსი; 21. ჯულიეტა; 22. შვილიშვილი; 23. ირანული. 24. იასამანი; 25. პიგმალიონი; 26. როყიო; 29. ჰორაციო; 31. ზეინაბი; 36. მასტროიანი; 38. ხარჭა; 39. ლეგრანი; 43. ლესია; 44. სემირამიდა; 45. კონსტანტინე; 47. ძოლა; 49. გერდა; 50. ორერა; 51. ალა; 52. მაია; 53. კოცნა; 54. სტალინი; 57. აკოსტა; 58. დავარი; 59. აგნესა; 63. ეტლი; 64. ესმა. 65. ნინო; 66. შოთა; 68. აფრა.


ი/ს - «ფანტაზია»

რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, №7/1-1811

გამომცემელი ალექსანდრე ელერდაშვილი

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ელერდაშვილი